სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

5. ჯავახიშვილის ქ.
ქუთაისი, საქართველო
ტელ:1420
info@nasp.gov.ge

25 / ნოემბერი / 2024 წ.

KA021705380468524

№ 13/67891

ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელს თამაზ კილაძეს

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დასავლეთ საქართველოს რეგიონულმა დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 2024 წლის 21 ნოემბრის № MES 7 24 0001505717 წერილი, რომელშიც დასმულია საკითხი სსიპ ქალაქ ლანჩხუთის №I საჯარო სკოლაში (საკადასტრო კოდი: № 27.06.56.099) არსებული 45.00 კვ.მ. ფართის, მოძრავ ქონებასთან ერთად, იჯარის ფორმით გაცემის შესახებ.

გაცნობებთ, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დასავლეთ საქართველოს რეგიონული დეპარტამენტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში არ არის წინააღმდეგი, აუქციონის წესით იჯარით გაიცეს თქვენს წერილში მითითებული ფართი მოძრავ ქონებასთან ერთად, იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნული ქონება სსიპ ქალაქ ლანჩხუთის №I საჯარო სკოლას სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს კანონით დადგენილი წესით და იმ პირობით, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 2 (ორი) კვირის ვადაში გაუქმებული იქნება საიჯარო ხელშეკრულება, რაც უნდა წარმოადგენდეს სკოლის მიერ გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების აუცილებელ პირობას.

ამასთან, სარგებლობის საფასური უნდა განისაზღვროს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესი“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N570 დადგენილებით დამტკიცებული წესის მოთხოვნების შესაბამისად.

ამ პირობათა დარღვევის (შეუსრულებლობის) შემთხვევაში, სსიპ ქალაქ ლანჩხუთის №I საჯარო სკოლის მიერ დადებული იჯარის ხელშეკრულება განიხილება აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებულ გარიგებად.

დასავლეთ საქართველოს რეგიონული
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ირაკლი რაზმაძე